

სამსიხის

„სხაჯე“

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქართული ენის კათედრა

ზოსიმეს „სწავლადს“ ქართული
თარგმანები

გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და ლექსიკონი
დაურთო შაია ბარამიძემ

I



გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი“
ბათუმი 1999

მშობლიური უნივერსიტეტის 60 წლის
იუბილეს უბღვნის ამ შრომას ავტორი

VI საუკუნის პალესტინელი მოღვაწის - ზოსიმეს „სწავლად“
სამოდგე რი ხასიათის აპოფთეგმური ტონის თხზულებაა. მასში
გადმოცემულია რჩევა - დარიგებანი, აფორიზმები ზნეობრივ
თემებზე ქართულად ეს თხზულება უთარგმნიათ ეფთვიმე
ათონელსა და თეოფილეს ხუცესმონაზონს გამოცემაში ორივე
თარგმანის ტექსტი წარმოდგენილია პარალელურად ეფთვიმეს
თარგმანი ქვეყნდება ორი (XI საუკუნის) ხელნაწერის, ხოლო
თეოფილეს თარგმანი ექვსი (XI, XII, XVI, XVIII საუკუნეების)
ხელნაწერის მიხედვით.
აღნიშნული ტექსტები გარკვეულ სამსახურს გაუწევს
ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხებითა და
ეფთვიმესა და თეოფილეს მთარგმნელობითი მუშაობის
თავისებურებებით დაინტერესებულ მკითხველს.

რედაქტორი პროფესორი ზურაბ ჭუბუურიძე

რეცენზენტები დოცენტი მამია ფალავა
დოცენტი მამია კიკვაძე

რ.ნ. 01/04-849



წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

ქართული სასულიერო მწერლობა მდიდარია ნათარგმნი ასკეტურ-მისტიკური ხასიათის ძეგლებით. ბერძნულიდან ქართულად თარგმნილ ასკეტურ ლიტერატურაში აღსანიშნავია X-XI საუკუნეების მოღვაწეების - ეფთვიმე მთაწმიდლისა (ათონელის) და თეოფილე ხუტესმონაზვნის მიერ ნათარგმნი თხზულებანი. ამ თარგმანთა შორისაა VI საუკუნის პალესტინელი მოღვაწის - ზოსიმეს „სწავლად“ - ანთფთეგმური ჟნრის თხზულება.

ამ სამომღერო ხასიათის თხზულებაში გადმოცემულია რჩევა-დარიგებანი, აფორიზმები ზნეობრივ თემებზე (ღვთისმოშიშება, სიმშვიდე, სიყვარული, მიმტევებლობა...), ბერ-მონაზვნების ცხოვრების ეპიზოდების ამსახველი თხრობები, გაკიცხულია მანკიერებანი. ამ ჟნრის ნაწარმოებები გამიზნული იყო მოსამძენად. ორიგინალში მათ ეწოდებოდა „სიტყვები“, „საუბრები“.

ზოსიმეს „სწავლად“, როგორც ეფთვიმეს მიერ თარგმნილი ძეგლი, მოხსენიებულია ეფთვიმეს მამის - იოანეს ანდერში (23-ე თხზულებად) და გიორგი მთაწმიდლის თხზულებაში - „ცხოვრება იოანესი და ეფთვიმესი“ (26-ე ადგილას)¹. „სწავლად“ ეფთვიმეს 990 წელს უკვე თარგმნილი ჰქონია იგი შემოუნახავს Ath79 ხელნაწერის იმ ნაწილს, რომელიც ეფთვიმეს ავტოგრაფიდან არის გადაწერილი 1042-1044 წლებში.² კეკელიძე ეუთითებს, რომ ზოსიმეს „სწავლად“ ქართულად 993 წელს უკვე თარგმნილი იყო.³

„სწავლად“ აღმოჩნდა ჩართული თეოფილეს მიერ ბერძნულიდან თარგმნილ „პატერიკში“ მეორე („სწავლანი შუენიერნი წმიდათა და ხეტართა მამათანი სისრულისათვის სათნობათადასა“) და შესამე (სწავლანი და თხრობანი სულიერნი წმიდათა მამათანი და ვითარმედ ჯერ-არს ზუენდა ყოვლითა ძალითა მიდევნებად დაჟუდებასა“) თავების ნაწილების სახით. აქ იგი ცალკე თხზულებად არ არის გამოყოფილი.

ამრიგად, ამჟამად მოგვეპოვება ზოსიმეს „სწავლადს“ ორი ქართული თარგმანი: ეფთვიმესეული - ცალკე თხზულებად და თეოფილესეული - პატერიკის მისსავე თარგმანში ჩართული.

„სწავლადს“ ქართული თარგმანები საინტერესო მასალას შეიცავს ქართული სალიტერატურო ენის განვითარებისა და მასში მომხდარი ცვლილებების გასათვალისწინებლად.

ზოსიმეს „სწავლადს“ ეფთვიმესეული თარგმანის (E) ტექსტი დადგენილია ორი ხელნაწერის მიხედვით: A1104 (XI ს.) - A და Ath79(1042-1044წწ) - B. ძირითად ტექსტად ავიღეთ A1104 ხელნაწერის ტექსტი (B ხელნაწერი ნაკლებია.)

თეოფილესეული თარგმანის (T) ტექსტის გამართვისას ვსარგებლობდით ექვსი ხელნაწერით: A1105 (XI ს.) - A, A1339 (XII ს.) - B, A528 (XII ს.) - C, A168(XVI ს.) - D, A688(XVIII ს.) - E, A169(1745წ.) - F. A528 ნუსხით მოღწეული ტექსტი ნაკლებია თეოფილისიეულ თარგმანს საფუძვლად დაკუთვნილ A1105 ხელნაწერის ტექსტი, როგორც შედარებით ადრინდელი და სრული

¹ ივლილაშვილი, ათონურ ქართულ ხელნაწერთა სახელენი, თბ 1982, გვ 58, გიორგი მთაწმიდელი, ცხოვრება იოანესი და ეფთვიმესი, ძველი ქართული ავტოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II, თბ 1967, გვ 63.

² ე. ლოლაქიძე, ათონური №79 ხელნაწერის შედგენილობის შესახებ, მრავალთავი, XII, თბ 1986, გვ 3-20.

³ კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ I, თბ 1980, გვ 203.

ორივე თარგმანის ხელნაწერებში გვხვდება ზოგიერთი ორთოგრაფიული და ენობრივი ფორმა, რომლებიც არ შეესაბამებიან ძველი ქართულის ნორმებს. გავასწორეთ მხოლოდ აშკარა შეცდომები (იყონენ, იყუნენ, უკურდა, წარბხუნა იგი, მოიხუნას იგი...), ისეთ შემთხვევებში, როცა ერთი და იგივე სიტყვა საფუძვლად დადებულ ხელნაწერში განსხვავებულად არის წარმოდგენილი, არ შეგვიცვლია ისინი სხვა, გვიანდელ ნუსხებში დადასტურებული კლასიკური ქართული ენის ნორმათა შესატყვისი ფორმებით. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში ხელნაწერები ასახავენ მათი გადაწერის დროის ქართული ენის თავისებურებებს - ძველ ქართულ ენაში დაწვებულ ცვლილებებს.

ხელნაწერების განსხვავებული იკითხვისები ასახულია სქოლიოში. არ ვუთითებთ დარღვევებს და მ გრაფიკების ხმარების წესში.

გავასწორეთ რამდენიმე ადგილი, რომლებშიც, ჩვენი დაკვირვებით, დაშვებულია აზრობრივი შეცდომა, რასაც გამოავლენს კონტექსტი, მეორე თარგმანის შესატყვისი ადგილი ან ზოგჯერ ბერძნული წყარო.

1) ეფთვიმეს თარგმანის ორივე ხელნაწერში არის ასეთი ადგილი: „ეჰა, რაოდენი ძალი აქუს სიტყუასა წმიდათასა და ჭეშმარიტად ყოველივე რაოდენიცა აქუს, გამოცდილებით და ჭეშმარიტებით თქუეს“ E154,4. კონტექსტის მიხედვით აშკარაა, რომ ხაზგასმული აქუს ზმნის ნაცვლად უნდა იყოს თქუეს ეს ჩანს თეოფილეს თარგმანიდანაც: „...რამეთუ ჭეშმარიტად რაოდენიცა-რად თქუეს საქმით გამოცდილებისაგან თქუეს“ T154,5 (ბერძნულ წყაროში შესატყვისი ადგილი არ დასტურდება). ამ შეცდომის წყარო ფრაზაში პირველად ნახმარი აქუს ზმნა უნდა იყოს.

2. გრაფიკული ხასიათის შეცდომა ჩანს ეფთვიმეს თარგმანის შემდეგ ფრაზაში: „...მარადის ღმერთსა ვევედრებოდით, რადთა მან მომცეს ძალი წინააღდგომად და გარემიქცევად უცხოის მის მტერისა“ E193,14. აშკარაა, რომ ამ წინადადებაში ზმნის პირიანი ფორმის (გარემიქცევად) ნაცვლად უნდა იყოს მასდარი ვითარებით ბრუნვაში - გარემიქცევად. ამას მოწმობს ამ ფრაზის მასდარიც - წინააღდგომად (თეოფილეს თარგმანსა და ბერძნულ წყაროში შესატყვისი არ არის).

3) თეოფილეს თარგმანის ყველა ხელნაწერში ერთ ადგილას იგი ნაცვალსახელი მრავლობითი რიცხვის ფორმის ნაცვლად წარმოდგენილია მხოლობითში: „... წარვიდა და ევედრა ღიღებულთაგანთა ვიეთმე და წარვიდეს იგი მის თანა და გამოიყვანეს ძეად იგი საჰყრობილისა მისგან“ T178,5. ხაზგასმული ნაცვალსახელი ცვლის წინა წინადადების „ღიღებულთაგანთა ვიეთმე“, რომლებთანაც წავიდა ბერი და სთხოვა დახმარება მეგობარი ბერის გამოსასწავლად. ღიღებულები წაჰყვნენ ბერს. ორივე ზმნა აქ წყვეტილის მწკრივის მრავლობითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი (წარვიდეს, გამოიყვანეს) და ამდენად, ბუნებრივია, ნაცვალსახელიც მრავლობითი რიცხვში უნდა იყოს. შეცდომა, უეჭველია, გამოიწვია იმან, რომ წარვიდეს ზმნის კონტექსტის მიხედვით სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს ძველ ქართულში: წარვიდ-ის იგი (II ვაეშ) და წარვიდ-ეს იგინი (წყვეტილი).

4) „ვიდოდეთ ოდესმე... და შეესტეთით გზასა და არა ვიცოდეთ ჩუენ, თუ ვინაჲ ვალთ. ვინაჲცა ვპოვნით (ვპოვნით BEF) ჩუენ ყანობირებსა თესულსა“ T133,9. თეოფილეს თარგმანის შემსველ ხელნაწერებში ამ ადგილას ხაზგასმული ზმნის მოქმედებითი გვარის ფორმის ნაცვლად უნდა იყოს ინიანი ვნებითი, როგორც ეს ეფთვიმესეულ თარგმანშია: „... არა უწყოდეთ, ვიდრე ვალთ... ვპოვნით ყანობირსა შინა თესულსა“ E133,9. ამ ეპიზოდში მოთხრობილია იმის შესახებ, რომ ბერებს გზა აერიათ და აღმოჩნდნენ ნათესებში.

ტექსტი დაყვავით მუხლებად, მუხლები - სტრიქონებად. ხელნაწერების განსხვავებულ იკითხვისებს სქოლიოში ვუთითებთ მუხლების სათვალავის

მიხედვით. რომაული ციფრებით აღნიშნეთ ბერძნული წყაროს თავების სათვალავი.

სქოლიოებში ვიყენებთ სიმბოლოებს: **om** - სიტყვათა კლებისა და **add** - მატების აღსანიშნავად.

ვიმოწმებთ იმ ბიბლიურ ციტატებს, რომლებიც ბერძნულსა და ლათინურ წყაროებშია შიითიებული.

E

T

91 /სწავლად წმიდისა მამისა ჩუენისა ზოსიმესი

1.1. ნეტარმან მამამან ზოსიმე გამოისახა სასწაული ჯუარისად პირსა თვისსა და იტყოდა ესრეთ: „განკაცნა რად ქრისტე, ღმერთი ჩუენი, დაუსაბამოდ იგი სიტყუად მამისად, ესოდენი მადლი მოსცა მორწმუნეთა მისთა, ვიდრელა ჳელ-ეწიფების კაცად-კაცადსა, უკუეთუ ენებოს, შეილ ღმრთისა ყოფად ამისთვის უკუე ჩუენცა გვლირს, რომელ ესე გულისგმა-ვეყოთ და /ვიწყოთ ამიერიტგან სულთა ჩუენთა ცხორებისა ზრუნვად. რამეთუ ვინაჲთგან მადლი ღმრთისად მზა არს შეწევნად ჩუენდა, უკუეთუ ჩუენცა ვინებოთ და თანაშეერთოს ნებად ჩუენი შეწეენასა ღმრთისასა. რამეთუ აღვილ არს შერაცხვად ყოვლისავე სოფლისად არარად.“

91V

2. და აღიღის ჳელთა თვისთა ნეტარმან მან წუელად თივისად და იტყუნ „ვინ არს, რომელი ამისთვისცა შფოთი ყო? ანუ აცილობდა ვის? ანუ ძკრსა იჯსენებდამცა? ანუ მცა მწუხარე იყო?/გარნა თუ სრულიად წარწყმიდოს ვინმე გონებად თვისი?..“

92

3. ესრეთ უკუე უწყოდეთ, ვითარმედ: ოდეს წარემართოს კაცი საქმესა შინა ღმრთისასა, ყოველივე სოფელი შეურაცხიეს, ვითარცა ესე წუელად, დაღაცათუ აქუნდეს ყოვლისავე სოფლისა ჳელმწიფებად.

1.1. ნეტარი ზოსიმე იტყოდა: ამან პირველად გამოისახა პირსა ჳელა თვისსა სასწაული პატოსნისა ჯუარისად და თქუა ესრეთ: „განკაცნა რად სიტყუად ღმრთისად, ესოდენი მადლი მოსცა, რომელთა ჳრწმენა და ჳრწამს მისა მიმართ, რომლისა არა არს რიტხვ, ვინაჲცა ჳერ-არს ჩუენდა და აწცა რწმუნებად და დაწყებად დღესვე საქმესა კეთილისასა, ვინებოთ თუ და რამეთუ ოდეს მადლი ღმრთისად და ნებად და სურვილი კეთილისად /ერთად შეკრბენ, მუნ ყოველივე ძნელი ადვილ იქმნების. ვინაჲცა შეჳგავს და ჳერ-არს ყოველსავე, რომელსაცა ენებოს, რადთა ერთბამად ყოველივე სოფელი არარად შეერაცხოს.“

46V

2. და აღიღებნ იგი, რადცა დახუდის: თუ წუელად რადმე, თუ მკედის ნაწყუედი, ანუ თუ სხუად რადმე უდარესი-რე და იტყუნ: „ვინ ამისთვის ჳბრძავს ვისცა? გინა აცილობს? ანუ უძნს? ანუ ძკრმოჯსენე არს? გარნა თუ ვისმე სრულიად წარეწყმიდოს გონებად თვისი?..“

3. და რამეთუ რომელი ვილოდის გზასა კეთილსა და წარემართოს ღმრთის მსახურებასა შინა ღმრთისა კაცი, მას ერთბამად ყოველი სოფელი, ვითარცა წუელად ესე ჩალისად, შეურაცხიეს, დაღათუ აქუნდეს მთავრობად მისი.

T. 1. მისსა F. არა] omD. აწცა] აწE. და] omD. რამეთუ ოდეს] როდესF ნებაF. კეთილისა F. ვინაცა F. ყოველსავე] ყოველივე F. არარად] არად BDEF. შეპრაცხოს DF.
2. აღიღებნ DEF. რაცა F. დახუდეს BF. წუელი F. მკედისა ნაწყუედი BDF. სხუა E. რამე F. უდარესი -რ ეF. ვინ] ვრF. ვისაცა DF. ანუ] ვინა DF. ძკრისმოჯსენე DEF. ~სრულიად ვისმე E. წარეწყმიდოს F. გონება თვისი F. თვისი] addურგებ ედD
3. ღმრთისასა B (სიტყვაში ბოლო "სა" შემდეგ ჩამატებულია). ესე] omF. შეურაცხიეს BDEF. მთავრობა F.

E

T

92V

4. რამეთუ არათუ ქონებად რადსადმე აენებს, არამედ სიყუარული ნაქონებისა მის მიმართ და შემსჭულავად მისდა გონებისად ვინ არა უწყის, ვითარმედ უპატიოსნეს ყოველისა მონაბებისა გუამნი ჩუენნი არ/იან. არამედ მოყუარეთა ღმრთისათა იგინიცა არარად შეჰრაცხნეს, ვიდრემდე სიკუდილადცა მისცნეს. რაოდენ უფროდს გარეგანთა ამათ საქმეთა სოფლისათა შეურაცხ-ყოფად ადვილ არს?

5.

6. და ავსენებდა მმასა მას, რომელსა დაესხა მხალი იგი და იტყოდა: „არა დამაშურალ იყოა ქმნასა მისსა? ანუ არა ეკმარებოდა იგი? გარნა აქუნდა ვითარცა არარად.“

5

10

5

10

5

4. და რამეთუ რომელსა მრავალგზის ვიტყოდე, აწცა მასვე ვიტყუ, ვითარმედ „არა თუ ქონებად რადსადმე [ვის] აენებს, არამედ ვნებულად ქონებად და რამეთუ ვინ არა იცის, რომელ მონაბებსა ჩუენსა ყოველსავე, რადცა გუაქუს, ჯორცნი ჩუენნი უმჯობეს არიან და უპატიოსნეს, გარნა ოდეს ჭმმან ითხოოს, ბრძანებულ ვართ მათდაცა შეურაცხ-ყოფად და თვთ თავადთა ჯორცთა ჩუენთა მოძულებად. რაოდენ უფროდსდა მას, რომელი გარეგან არს ჩუენსა?“

5. და რამეთუ ვითარცა-იგი ცუდად და მაჯანად არა ჯერ-არს დაბნევაჲ საკმართად თვნიერ კმარებისა კეთილად, ესრეთვე არცა დაგდებაჲ ჯერ-არს თავისად და სიკუდილი, რამეთუ ესე მათი არს, რომელთა წარეწყმიდნენ საცნობელნი გონებისანი, არამედ ჯერ-არს მოლოდინებაჲ ჭმსა და რადთა

10 გან/მზადებულ ვიპოვნეთ.

6. და იკსენებნ ნეტარი მმასა მას, რომელსა ედგა მხალი და იტყვნ: „ნუუკუე არა მას დაეთესაა? ნუუკუე არა იგი დამაშურალ იყოა? ნუუკუე არა მას დაერგო და არა მას შეეკაზმაა? ნუუკუე თვთ აღმოფხურაა იგი და განყარა? გარნა ყოველსავე ზედა აქუნდა იგი, ვითარმცა არა აქუნდა.“

47

T. 4. ქონება[2] F. რადსამე E, რასამე F. არა] არ BF. ყოველსავე] ყოველივე BDF. რაცა F. გუაქუნ BDE, გუაქენ F. ითხოოს E. მათდა E. თავადთაცა BDF. ჯორცთა] თავთა B. (ეს ადგილი გასწორებულია, ქაღალდია გადაწებებული). უფროსდა F.
 5. მაჯანად] ურგებად BDEF.] add და მაჯანად D. დაბნევა საკმართა F. დაგდება] დაგება F. თავისა F. წარეწყმიდნენ A, წარეწყმიდნენ F. მოლოდება F.
 6. იტყუს A. დაეთესა BDEF. დამაშურალ F. ნუუკუე არა მას დაერგო] omD. დაერგო] დაეგო F. შეეკაზმა D.

E

T

7. ამისთვისცა მი-რად-ვიდა ბერი იგი მისა და ენება გამოცდად მისი /და იწყო შექმუსრვად მხალეებისა მის. ხოლო იგი დაიშალა, რადთა ყოვლადვე არა ექსუნოს ბერსა. 5

8. და ოდეს დაშთა ერთიდა ოდენ ძირი, მაშინ ჰრქუა: "უკუეთუ გნებავს, მაშაო, დაუტევე ები და ვცოთ დღეს სიყუარული." 5

მაშინ ცნა ბერძან მან, ვითარმედ მონად იყო იგი ღმრთისად და არა მხლისად მის და ჰრქუა: "განსუენებულ არს სული ღმრთისად შენ ზედა, ძმაო." 5

9. და ნუ ხედავთ უნდოებასა მხლისასა. გეტყვ თქუენ, ვითარმედ ყოველივე სოფელი ესრეთვე შეერატება მას, რამეთუ ნუ უნდო/ებასა მხლისასა მიხედავთ, არამედ ესე გულისწმა-ყავთ, ვითარმედ სხუად არარად აქუნდა მას. 5

10. და უკუეთუმცა არა მოღუაწე იყო, უფროდსმცა აღიძრა მხლისა მისთვის, რომლისაგან იყო ყოველი ნუგეშინის-ცემად მისი, ვიდრედა რომელთა-იგი აქუნ მრავალი და უკუეთუ ერთი დასჭირდის, გინა ორი, მრავლით კერძო შეექმლოს ნაცვლისა მისისა პოვნად. გარნა მასცა ზედა აჩუენა მან, ვითარმედ ვითარცა არაარსი შეერატბილ იყო წინაშე მისსა. 10

7. ამისთვისცა ოდეს მივიდა ბერი გამოცდად მისა და იწყო შექმუსრვად მხლისა, არცა თუ გამოუჩნდა მას, არამედ დაიშალა. 5

8. და ოდეს ერთი ოდენ ძირი დაშთა, მაშინლა ჰრქუა მას: "უკუეთუ გნებავს, მაშაო, დაუტევე ები, რადთა მაგას ზედა ვცოთ სიყუარული." 5

მაშინ ცნა წმიდამან მან, ვითარმედ მონად არს იგი საკუთარი ღმრთისად და არა მხლისად. მერმე ჰრქუა მას: "განსუენებულ არს სული ღმრთისად შენ ზედა, ძმაო." 5

9.

10. ხოლო უკუეთუმცა გნებულად სდგმოდა მას ბოსტანი იგი, მეყსეულად აჩუენებდა მწუხარებისა მიერ შოთეებასა თვისსა. გარნა გამოჩნდა საქმით, ვითარმედ ესრეთ აქუნდა იგი, ვითარმცა არა აქუნდა. 5

T. 7. ამისთვის BDF. მისა] მისდა BDF
 8. სიყვარული F. მან] omABDF. მონა F. მხლისა F. 2 ღმრთისა D.
 10. უკუეთუმცა F. იგი, ვითარმცა არა აქუნდა] omF

E

T

94 11./და იტყოდა ნეტარი ზოსიმე, ვითარმედ: „ხედვენ ესე ვითართა მათ ეშმაკნი და უკუეთუ ვინმე იხილონ, ვითარმედ არა შექმს ჭულულ არს გონებად მისი საქმეთა სოფლისათა, სტნობენ, ვითარმედ ებგვითარი იგი ქუეყანასა ზედა ვალს, არამედ მოქალაქობაჲ და გონებაჲ მისი ზეტას არს.“

12 და იტყოდა ნეტარი იგი, ვითარმედ: „განყოფილებანი გონებათანი არიან და შექმლბეულ არს გონებაჲ მჭურვალე ერთსა შინა ჟმსა ჩუენებად ღმრთისა გულსმოდგინებასა, რომელი ვერ /უჩუენის სხუამან გონებამან დაჯსნილმან ერგასის წელ“

13. იტყოდა კუალად, ვითარმედ: „უკუეთუ იხილონ ეშმაკთა, თუ იგინა ვინმე, ანუ შეურაცხ იქმნა და მწუხარე არს არა ამისთვის, რომელ იგინა, არამედ ამისთვის, რომელ არა ახოვნად და უღმობელად მოითმინა, ებგვითარისა მისგან ეშინის ეშმაკთა, რამეთუ იტინან, ვითარმედ, უწყიეს სლვად გზასა მას ჭეშმარიტებისასა და უყუარან მტენებანი ღმრთისანი“

14. და ავსენებდა წმიდასა პახუმის, ოდეს-იგი შეჰრისხნა /მას ძმამან მისმან და ჰრქუა: „დასცხერ სიფუღულისა მავისგან, რომელ ესრე განავრტყლებ მონასტერსა“. რომელსა-იგი იქმოდა ხილვისა მისთვის, რომელ უჩუენა ღმერთმან. ხოლო მას, ესმნეს რაჲ სიტყუანი მისნი, რეტა აღიძრა

11. და იტყოდა ნეტარი იგი, ვითარმედ: „დაძინუნენ ეშმაკნი ესე ვითარსა ამას და უკუეთუ ვინმე იხილონ, რომელ არარად შეურაცხიეს ნივთი სოფლისაჲ და სოფელი არცარად, აღშუოთნების მისთვის, ვითარმედ დაღათუ ქუეყანასა ზედა იქცევის ესე ვითარი იგი, არამედ მოქალაქობაჲ მისი ზეტას არს.“

12 კუალად იტყოდა იგი, ვითარმედ: „ადირენი არიან გონებისანი და ძალ-უტ გონებასა მჭურვალესა ერთსა შინა ჟმსა შექმრვად ღმრთისა, /რომელსა ვერ შესწირავს სხუად გონებაჲ მტონარი ორმეოცდაათსა შინა წელსა.“

13. და უკუეთუ იხილონ ეშმაკთა, ვითარმედ იგინა ვინმე, ანუ შეურაცხიქმნა, ანუ თუ რადმე იზღვია, გინა თუ რადცა რადმე ძური შეემთხვა და უმძიმს მას, არა თუ რად ევნო, არამედ რამეთუ არა ახოვნად მოითმინა, ესე ვითარისაგან ეშინის ეშმაკთა. რამეთუ სტნობენ, ვითარმედ შეეხო გზასა ჭეშმარიტსა და ჰნებაჲ სლვად მტენებათაჲ ღმრთისათა.

14 და ივსენებნ იგი წმიდასა პახუმის, ოდეს-იგი დაუფრთხო მას ძმამან მისმან უზუტესმან და ჰრქუა: „დასცხერ ცუნდრუკებისაგან, მზუაობარო, რამეთუ გნებაჲს განვრტომაჲ მონასტრისაჲ“. ოდეს-იგი ღმრთისა მიერ უწყებულ იყო მისდა აღშენებაჲ მონასტრისაჲ, რომელსა ესმა რა [ჲ]

94V

95

47V

E. 11. მოქალაქობაჲ B. 13. დ-თისნი B. 14. ესრეთ B (სიტყვაში“თ“ ჩამატებ.).
 T. 11. დანიშნენ E, დანიშნენ F. ამას] მას BDEF. რომელსა D. სოფლისა DF. მოქალაქობა F.
 12. გონებისანი] ბუნებისანი A. მხურვლესა D. რომელსა ვერ] პირველსავე A. სხვა F. გონება F.
 მტონარი A.
 13. უკუეთუ F. რადმე] რასმე A, რამე F. ეშინის F. სლვად DF.
 14. ცუნდრუკობისაგან F. მონასტრისა] F. უწყებულ] ბრძანებულ BDEF. აღშენება
 მონასტრისა F.

E

T

95V

გული მისი, რომელ კეთილსა მას
 საქმესა ზედა აბრალობდა, გარნა
 არარად მიუგო, რამეთუ ღამჭირველი
 იყო გულისაჲ. ხოლო შემწუხრდა
 რად, შთავიდა ქუე თხრილსა სენაკსა
 მცირესა და იყყო ტირილ და
 იტყოდა ღმერთისა მიმართ:
 „ღმერთო ჩემო, წუთდა ცნობაჲ
 ჯორციელი არს ჩემ თანა, ჯერეთ
 ჯორციელად ვცხოვნდები, ვაჲ შე,
 რამეთუ მოსიკუდლად ვარ, ვითარცა
 წერილ არს.“

15. * ესოდენი მოღუაწებაჲ და
 განმზადებულებაჲ გულისაჲ
 მომიგიეს და ჯერეთ
 გულისწყრომისაგან აღვიტაცები,
 დაღატათუ კეთილსა ზედა.
 შემეწყალე შე, უფალო, რადთა არა
 წარვეწყმდე: რამეთუ უკუეთუ არა
 შენ შემეწყე მეყო და პოოს ჩემ თანა
 მტერმან ნაწილი წუთ ერთდა და
 ვიქმნე მორჩილ/მისა.

96

16. * რამეთუ უკუეთუ ვინ ყოველი
 რჩული შენი დაცევას და სტეს
 ერთსა ზედა, იქმნა ყოვლისავე
 თანამდებ. ხოლო მრწამს, უკუეთუ
 შემეწიოს მრავალი იგი წყალობაჲ
 შენი, ვისწაო ამიერთგან სლვად
 გზასა წმიდათა შენთასა, * რომელთა
 არცხუნეს მტერსა, ვითარცა ჯერ-
 იყო, და ვითარ შე ვასწაო,
 რომელთა-იგი უწოდო შენ ჩემ თანა
 ამის ცხორებისა გამორჩევად,
 უკუეთუ პირველად შე არა ვქმნა და
 მძლე ვექმნა ვნებათა.

10

შერისხვად [იგი] ძმისაჲ, აღიძრა
 გულისწყრომად, ვითარცა კეთილსა
 ზედა. გარნა ესრტთა არარად ჰრქუა
 მას, არამედ იაყრობდა ენასა თჳსსა
 და გულსა ხოლო მომავალსა მას
 მწუხრსა შთავიდა ქუე მოსა მას
 მცირესა საყოფელსა, იყყო ტირილით
 ლოცვად და იტყოდა: „ღმერთო
 დამბადებელო, ჯერეთცა გონებაჲ
 ჯორციელი არს ჩემ თანა; ჯერეთცა
 ჯორციელად ვცხოვნდები; ვაჲ შე,
 უბადრუქსა, რამეთუ მეგულეების
 სიკუდილი, ვითარცა წერილ არს.“

15

20

15. ესოდენი მოღუაწებაჲ და
 განმზადებულებაჲ მაქუს გულისაჲ და
 ჯერეთ გულისწყრომად აღვიტაცები,
 დაღატათუ რეცა კეთილსა ზედა.
 შემეწყალე შე, უფალო, რადთა არა
 წარვეწყმდე. რამეთუ უკუეთუ პოოს
 ჩემ თანა მტერმან კერ/ძოჲ რადმე
 მისი, რადხომ [რად...] მცირე,
 აღვილად ჴელთ მიგდოს, არა თუ შენ
 დამამტკიცო და განმამლიცრო,
 უფალო.

5

10

16. რამეთუ უკუეთუ ვინმე დაიძარბოს
 ყოველი უჯული შენი და სტეს
 ერთსა რასმე, იქმნა უეჭუელად
 ყოვლისავე თანამდებ. არამედ მრწამს
 მრავალთა მათ მოწყალებათა შენთაჲ,
 რომელ უკუეთუ შენ შემეწიო,
 უფალო, ვისწაო ამიერთგან სლვად
 გზასა მას წმიდათა შენთასა და
 რადთურთით წაღმართსა მას
 მივსდევდე და რამეთუ ნანდვლვე მათ
 ოდენ არცხუნეს ჯერისაებრ მტერსა,
 ანუ ვითარ ვასწაო, უფალო,
 რომელნი-იგი შემოძკრიბნე შენ ჩემ
 თანა გზაჲ ცხორებისაჲ, არა თუ
 პირველად შე წარველო და დავიცვა
 შიში შენი.“

5

10

15

48

E. 14. ტირილად B. „მოსიკუდილად“ ყოფილა და „ა“ შემდეგ წაუშლიათ B. 15. წარვეწყმდე B. პოოს-
 სიტყვაში შეორე „ო“ ჩამატებულია B.
 T. 14. შერისხვა იგი ძმისა F. ესრეთა BD, ესრ თცა F. გუნება A, გონება F. ვცხოვნდები DEF.
 მეგულეების| მეგობრის F. 15. მოღუაწება F. განმზადებულება F. გულისა F. ჯერეთცა E. პოოს D.
 მისი| omBDEF, A-ში ჩამატებულია მხედრულით. რაზომ F რად| omBDEF, მცირე| omBDEF, A-ში ჩამატე-
 ბულია მხედრულით. დამტკიცო A. 16. შენთა F. ვისწაო F. ნანდვლ BF. ვასწაო E. შემოძკრიბნე F. გზა F.
 ცხორებისა D, ცხორებისა F.
 * რომ. 8,12.

E

T

96V

17. და ესრეთ დაადგრა ღამე ყოველ და /სიტყუათა ამათ ცრემლით იტყოდა, ვითარ განთენა. და ოფლთა და ცრემლთა მისთაგან ადგილი იგი, სადა მდგომარე იყო, იქმნა თიჯა. და იყვნეს დღენი მკისანი და ადგილი იგი ფრიად მკურვალე.

18. და იტყოდა ნეტარი ზოსიმე საკურველებით იყო-მე-ა რიცხვ ცრემლთა მისთაჲ, ვითარმცა არა მინიჭა ღმერთმან ესევეთარსა მას გონებასა ყოველი კეთილი? შე ესრეთ მრწამს, ვითარმედ: მას ღამესა მისცა მას ღმერთმან ყოველი, რაოდენიცა ითხოა, რადთა იყოს იგი ყოველისავე ენებისა მიმართ მკუღარ.

97

III. 19. და იტყოდა ნეტარი იგი: უკუეთუ ვინ იწსენებდეს პირსა შემაწუხებელისა თვისისასა, ანუ შემასძენელისა, ანუ რადსავე ბოროტისმყოფელისა და იწურთიდეს მისა მიმართ გულისსიტყუათა მწუხარებისათა, ებკვითარი იგი მბრძოლი არს სულისა თვისისაჲ უფროდს ეშმაკთაჲსა. და რად ვიტყუ, თუ იწურთიდეს გულისსიტყუათა? უკუეთუ არა მადლიერ იყოს მისდა, ვითარცა მკურნალისა, დიდად აენებს თავსა თვისსა.

17. ამას რად უკუე და ესევეთართასა ილოცვიდა, დაადგრა ღამე ყოველ ტირილსა შინა და გლოვასა ვიდრე განთენებადმდე. და ცრემლთაგან მისთა და ოფლთა იქმნა თიჯაჲ ქუეშე ფერჯთა მისთა ადგილსა მას, სადა მდგომარე იყო. და იყო ზაფხული და ადგილი იგი მკურვალე ფრიად.

18. და იტყოდა საკურველებით ნეტარი იგი: ნუუკუე აქუნდლო ცრემლთა მისთა წყვად ანუ საზომი, ვითარმცა არა მინიჭა ღმერთმან ესევეთარსა გონებასა უხუებაჲ კეთილთა მისთაჲ? რამეთუ მე მრწამს ჯეშმარიტად, ვითარმედ: ღამესა მას შინა მისცა მას ღმერთმან ყოველივე, რაოდენიცა სთხოა მას, რადთა იყოს იგი მკუღარ მიერთგან ყოველთაგანვე ვნებათა.

III. 19. და იტყოდა იგი, ვითარმედ: უკუეთუ ვინმე შეუშუას ვისთვსმე გულისსიტყუად ძური გულად თვისა შეწუხებისა რადსათვსმე, გინა ზღვევისა, გინა გინებისა, გინა რადსაცა ბოროტისა შემთხუვეისათვს და თხზვიდეს იგი გულისსიტყუათა მისთვს, მოიკლავს იგი სულსა თვისსა, ვიდრედა არტადა თუ საკმარ არიან მისდა ეშმაკნი, რამეთუ თვთ მკლველ არს იგი თავისა თვისისა. /და რად ვიტყუ, თუ თხზვიდეს გულისსიტყუათა? [არამედ] უკუეთუ არა ეპყრას [იგი] ვითარცა მკურნალი კეთილი, დიდად აენებს იგი თავსა თვისსა.

48V

- E. 18. ყ-ისვე A. 19. მდლიერ B.
- T. 17. მდგომარე იყო| დგომიდ იყო A. იგი| omE. მკურვალე A.
- 18. წყვად| წყვი BDF. ღმერთმან| უფალმან E. უხუჭბა F. მისთა DF. სთხოვა BEF.
- 19. ვითარმედ| omE. გულითად C. თვსად CE. რასათვსმე F. რადსაცა| რადსათვსცა BE. ბოროტის A. რამეთუ| omBDF. მისთვს C. მკლველი D. იტყუთ A. იპყრას CF.
- * აქ იწყება ტექსტი C ხელნაწერში.

E

T

20. რამეთუ ყოველი
 ბოროტისყოფელი /ჯორციელი
 განმწმედელი არს სენთა სულიათა.
 და ამისთჳს გუღირს ესევეთარისა
 მის, ვითარცა მკურნლისა, ქრისტეს
 მიერ მოვლინებულისა, შერაცხვად,
 რამეთუ თანა-გუაც სახელისათჳს
 ქრისტესისა ვნებად, რომლისა მიერ
 უკუე ესევეთარი იგი თანანადები
 გარდავიწადოთ, არა ქველისმოქმედად
 შეპყრაცხოთ იგი.
 21. უკუეთუ კულა არა გუნებავს
 სენთა მათგან სულიერთა
 განთავისუფლებად, უბრალო არს
 ღმერთი: ხოლო თჳთ იგი მწუხარებად
 გინებასა, ანუ შეურა/ცხებასა; ანუ
 რასაცა ჯორციელსა ჭირსა სასწაული
 არს სულისა სნეულისა. რამეთუ
 რომელი არა სნეულ იყოს, არცა წუხს
 ესევეთართა ზედა საქმეთა. გუღირს
 უკუე მადლობად მისსად მის, რომლისა
 მიერ უძღურებად და სენი ზუენი
 ვიცანთ და მის მიერ მოწვეწულთა
 მათ, რადცა იყოს, შეწყყნარებად,
 ვითარცა წამალსა საკურნებელსა,
 მოვლინებულსა ქრისტეს მიერ.

20. და რამეთუ რად სთქუა, თუ გავნო,
 არარად გავნო, ნუ იყოფინ! არამედ
 უფროდსდა განგწმიდა და ესრეთ
 გიღირს შერაცხვად მისი, ვითარცა
 ქრისტეს მიერ მოვლინებულისა
 მკურნლისა, რამეთუ ვალი თანა-გაც
 ქრისტესი და გიღირს ვნებად
 სახელისათჳს მისისა, ესრეთვე მისი
 თანა-გაც პყრობად, ვითარცა
 ქველისმოქმედისა.
 21. უკუეთუ კულა ვერ განყენებულ
 ხარ ვნებათაგან, არცა გუნებავს
 თავისუფლების, უბრალო არს შენგან
 უფალი ღმერთი და უმიზეზო, რამეთუ
 თჳთ ეგვი რომელ გელმის,
 სნეულებისაგან არს სულისა: რამეთუ
 უკუეთუმცა არა სნეულ იყავ, არამცა
 გელმოდა. და ამისთჳს უმეტესადლა
 თანა-გაც მადლსა აღსაარებად მისსა,
 რამეთუ მის მიერ სტან სენი შენი და
 გიღირს, რადთა მიიღო მისგან
 საკურნებელი წამალი, რომელი
 წარმოუგზავნიეს შენდა იესუს.

E. 21. განთავისუფლებდ B- „ა“ ჩამატებულია.

T. 20. უფროსდად C. მკურნლისა BCE, მკურნლისა D, მკურნლსა F. მისისა add რამეთუ BCDEF.

მის F. თანა-გუაც D. მყრობად D, ამყრობა F.

21. თი უთი F. თჳთ ეგვი რომელ რომელ ეგვი D, რომელ თჳთ CE. უკეთუმცა F. ამისთჳსცა CE. უმეტესად-ლა უმეტესად C. აღსარებად BCEF. მიიღოს F.

E

T

98V

22. უკუეთუ კულა არა თუ ოდენ არა მადლიერ ვიყვნეთ, არამედ ძვრსაცა ვიკესენებდეთ, /ვითარმცა ესრეთ ვიტყოდეთ ქრისტეს, ვითარმედ: არა ბჭვს შენ მიერ კურნებაჲ, არა შევპარებიან ჩუენ წამალნი შენნი, არამედ წყლულებათა შინა ჩუენთა გუნებაჲს დაღობდაჲ და მორჩილ ეშმაკთა ყოფად და რადღამე გვყოს ღმერთმან? რამეთუ მან სახიერებითა თვისითა მოგუცნა საკურნებელად ბოროტთა მათ სენთა ჩუენთა მცნებანი მისნი, რომელნი განგუწმედენ, ვითარცა-იგი წამალნი განსწმედენ სენთა ჯორციელთა.

5

10

15

22. ხოლო უკუეთუ არა თუ ოდენ არა ჰმადლობდე, არამედ ძვრთაცა ვწმასნიდე მისთვის, საცნაურ არს, რომელ წინაუღლდეგები იესუს და ეტყუ: არა მნებაჲს განკურნებაჲ შენგან, არა მივმს წამალი შენი, დაღობდაჲ მნებაჲს წყლულებათა შინა ჩემთა, მორჩილებაჲ მნებაჲს ეშმაკისაჲ და არა შენი. რად უკუე გიყოს შენ უფალმან მიერთებან? რამეთუ სახიერ არს უფალი ჩუენი და მოწყალე და წინაგანსაწყობელად სიბოროტეთა ჩუენთა მომცნა ჩუენ მცნებანი მისნი წმიდანი, რომელნი-იგი მსგავსად განსაწმედელთა წამალთა და მწუველთა განკურნებენ სიბოროტელთა ჩუენთა.

99

23. რომელსაცა უკუე სუროდის /განკურნებად და განთავისუფლებად სენთა თვისთაგან, უტყმს მას მოთმინებაჲ ყოვლისავე, რაოდენი უყოს მკურნალმან მან საკურნებელი.

5

24. რამეთუ სნეულსაცა არა სწადინ დაჭრაჲ ჯორცთა მისთაჲ მახვლითა, ანუ დაწუგად, გინა თუ სუმაჲ წამალთა მათ მწარეთაჲ, არამედ ესენებაჲცა მათი აღუშლინ გულსა, გარნა განთავისუფლებისათჳს სენთაგან მისცის თავი თჳსი ჯელთა მკურნალისათა და ყოველივე მო/ითმინის.

5

10

49

23. ვინაჲცა რომელსა ენებოს და სუროდის სიმორთელისათჳს, უნებლიეთ თანა-აც დათმუნად ყოველსავე, რაოდენიცა-რად მკურნალმან ჯერი-იხინოს.

24. /[და რამეთუ] არცაღათუ სნეულსა ეჰამების დაწუგად და დაჭრაჲ ასოთა თჳსთაჲ, არცაღა სუმაჲ მწარესა მას სასუშემოსა სანადვლოსა, არამედ უფროდსღა მოეცნენოს რად, გული ეწეზვის. გარნა ყოველსავე ზედა არწმუნებს თავსა თჳსსა და აიძულებს. რამეთუ იცის, ვითარმედ თჳნიერ ამისა ვერ დაეცნების სენსა მას, ამისთვისცა მისცემს თავსა ჯელთა მკურნალისათა. რამეთუ შეცნიერ არს, ვითარმედ მცირედისა მისთვის უბემურობისა, განერეს იგი მრავალმეულსა ნადვლესა და საგრძელოსა სნებასა.

99V

E. 22. ვიყონეთ A. ოწ B.
 T. 22. თუ]omA. სწმასნიდე DCEF. განკურნება CF. მორჩილება CF. ეშმაკისა CF. უფალმან] omE.
 ამერთებან D. ჩუენი] omD. მომცა A. განსაწმენდელთა F. კურნებენ F.

23. ვინაიცა F.
 24. ~დაჭრაჲ და დაწუგად BDE, დაჭრა და დაწუა F. თჳსთა F. სანადვლოსაჲ D, სანადვლოსა F. მოიწესნოს E. ეწეზვის B, ეზიზვის CEF. თავსა] omF. ამისსა F. ამისთვის F. უბემურობისა F.
 * გამოსლფ. II.22

E

T

25. ეგრეთვე ყოველნი, რომელთა ჯორციელნი ჭირნი, გინა შეურაცხებანი, ანუ დაჭირვებანი მოაწინენ ჩუენ ველა, წაშალნი არიან, იესუს მიერ მოვლინებულნი ჩუენდა განმათავისუფლებლად ყოვლისაგანვე სენისა ვნებათადასა, უკუეთუ მოვითმინოთ. უკუეთუ კულა არა თავს-ვიდებდეთ, არცა წაშალთ მათ ქრისტესთა შევიწყნარებდეთ, თავთა თუსთა ვავნებთ, ვითარცა უსწობონი და უგუნურნი.

5

10

15

10

IV.26. და იტყოდა ნეტარი იგი: /ადიხუენ განსაცდელნი სოფლისაგან და არღარავინ იპოოს წმიდად, რამეთუ რომელი ივლტოდის განსაცდელისაგან სულთა მარგებელისა, იგი არა ივლტის განსაცდელისაგან საუკუნოდას. რამეთუ ვინ მოატყუა წმიდათა მოწამეთა გვრგვნი დიდებისა, გარნა მკლველთა მათთა? ვინ მოატყუა წმიდასა სტეფანეს ესევეითარი იგი დიდებდა, გარნა რომელთა-იგი ქვაჲ დაჰკრიბეს?

5

10

25. სადაგაენი უკუე და დასაწუველნი იესუდსნი არიან დაჭირვებაჲ საწმართაჲ, შეურაცხ-ყოფაჲ სოფლისაჲ, მოძულებაჲ ჯორცთაჲ და ყოვლისავე ნივთისა მსოფლიოდასა და რაჲთა ჭეშთა იქმნე ყოველთაგანვე ვნებათა. ხოლო უკუეთუ კულა არა თავს-იდებ, თავსა შენსა აენებ თავსავეცა შენსა აბრალობდი და ნუ ქმასა შმიზეზობ, გარნა ჩუენ, ვითარცა გამოუცდელნი განსაცდელთანი, გარე-მივაქცევთ წაშალთ მათ იესუდსთა საკურნებელთა და დაუტეობთ ბრალობასა თავთა ჩუენთასა და გულისსიტყუათა ვკერაეთ და ვწმასნით კეთილისმყოფელთათუს ჩუენთა, ვითარცა განლიგებულნი და განცოფებულნი.

IV.26. და იტყოდა ნეტარი იგი, ვითარმედ: ადიხუენ განსაცდელნი სოფლით და არავინ იპოოს წმიდად, რამეთუ რომელი ევლტოდის განსაცდელთა სარგებელისათა, არა ევლტის იგი განსაცდელთა საუკუნეთა. რამეთუ თქუა ვინმე წმიდათაგანმან, ვითარმედ ვინ მოატყუა წმიდათა მოწამეთა დიდებაჲ და გვრგვნი, თუნიერ მათთა მათ განმ/კითხველთა? ანუ ვინ აღიყვანა წმიდაჲ სტეფანე ესევეითარსა დიდებასა [თუნი]ერ დაჰქოლველთა მათ მის[თა]?

49V

T. 25. დასაწუაენი CDF. დაჭირვება საწმართა F. შეურაცხთფა სოფლისა F. მოძულება ჯორცთა F. ყოვლისა BF. მსოფლიოდასა F. ექმნე F. თავსაცა BCF. აბრალებდი F. მიზეზობ E. ~ვითარცა ჩუენ D. იუს~დსთა F. დაუტეევბთ BEF. განცოფებულნი/განცუბრებულნი B, განცუფრებულნი F. 26. მქოლველთა BDF.

E

T

100V

27 და აწსენებდა სიტყუასა მას ევაგრესსა, რომელსა იტყუს, ვითარმედ: მე ბოროტისყოფელთა ჩემთა არა/ვაბრალებ, არამედ კეთილისყოფელად სახელ-ვსდებ და არა გარემივიტყევი მკურნლისა მისგან სულთაჲსა, რომელი წამალსა მოსცემს შეურაცხებისა მის მიერ ამაჲრტაჲანსა მას სულსა ჩემსა. რამეთუ შეშინის, ნუჲკჲუე ჩემისაცა სულისათჳს ითქუას: „ვჲკურნებდით ბაბილონსა და არა განიკურნა.“* V 28.

29. და იტყოდა ნეტარი იგი: ესე უწყოდეთ, ვითარმედ არავინ იტყუს ჭეშმარიტსა, გარნა რომელნი გუზრახვიდენ და გუძაგებდენ და შეურაცხ-გუყოფდენ ჩუენ. 30.

101

27. და იწსენებდაცა იგი სიტყუასა მას ევაგრესსა და იტყოდა, ვითარმედ: მე არა თუ ოდენ არა ვაბრალობ ძკრისმზრახვალთა ჩემთა, არამედ ქველისმოქმედთადცა ვხადი და არა გარემივიტყევი სამკურნალოსა სულთასა, რამეთუ შეურაცხებაჲ წამალი არს საკურნებელი მზუაობარისა სულისაჲ ვინაჲცა შეშინის, ნუჲკჲუე და სულისათჳსცა ითქუას ჩემისა. „ვჲკურნებდით ბაბილონსა და არა განიკურნა.“*

V 28. და იტყოდა იგი, ვითარმედ: ეშინოდარ ევაგრეს თავისათჳს თჳსისა: ნუსადა ესაჯგებოდის მას ქრისტე და ეტყოდის: „უბადრუკო ევაგრე, სხეულ ხარ ზუაობითა და ამაჲრტაჲანებითა, ხოლო მე მოგივლინე წამალი საკურნებელი-შეურაცხებაჲ და არა განიკურნე.“

29. ხოლო ესემცა ვიცით, რომელ არავინ იტყუს ესრეთ ჭეშმარიტსა, ვითარ-იგი ძკრისმზრახვალნი ჩუენნი.

30. და იტყოდა იგი, ვითარმედ: უფალმან უწყის განაღა, რომელი-იგი განიკითხავს გულთა და თირკჲუმელთა, რომელ დადაცათუ ყოველი სოფელი მაქებდეს და მნატრიდეს, ჩემი ყოველივე ღირს არს ძაგებისა და ძღემისა და ნერწყუვისა. ხოლო უკჲეთუ სთქუა შენ, თუ: „ესე და ესე გიქმნიეს“, მე ვთქუა, ვითარმედ: „და რაჲ არს ჩემთაგან საქმეთა კეთილ, რაჲთა-მცა ეგეოდენ იყო ბოროტ.“

E.27. მოსტეჲს B. თქუას B, A-ში - "ი" ჩამატებულია. 29. გუზრახვიდენ AB. T.27. ვითარმედ]omE. არა]omE. ძკრისმზრახვალთა B. ქველისმოქმედცა A. ქველისმოქმედცა CD, B-ში ბოლო "დ" ჩამატებულია. სულითას]add. დთ'ისა E. შეურაცხება F. მზუაობისაჲ სულისაჲ E, მზუაობისა სულისა DF. ვინაცა CF. ითქუა CF. ვკურნებდით F. ბაბილონსა B, ბაბილონსა F. 28. ევაგრეს F. მას]om BCF. ეტყოდა F. 28. ~ესრეთ იტყუს BDEF. ძკრისმზრახველნი CF. 30. უწყის CE. გულსა BCDEF. თირკჲელთა DF. რომელ]რაჲთა (რ'ა) CF. ~მნატრიდეს და მაქებდეს BCDEF. "არს" გადატანილია წინ-ის ბოლოს D. ნერწყვისა DF. თქომ BCDF. გიქმნიეს]add და D. ჩემ'ან F. გეოდენ BCFE. * იერ. 2,9; შდრ. ლ. 13,34-35

E

T

31. და არავინ ესრეთ იტყვს ცილსა, ვითარ მაქებელნი ჩუენნი და რომელნი-იგი გუნატრიდიან და ბოროტისმეტყუელნიცა იგი ვერვე იტყვან ყოველსა ჭეშმარიტებასა ბოროტთა ჩუენთასა.

32. რამეთუ უკუეთუმცა იხილნეს სიღრმენი ბოროტთა ჩუენთანი, გარე-მიიქცესცა ჩუენგან, ვითარცა სიმყარლისაგან მწვრისა, ვითარცა სულისაგან არაწმიდებისა.

33. და უკუეთუმცა იქმნნეს ყოველნი ასონი კაცთანი ენა ძურისზრახვად ჩუენდა, ვერ კმა-არიან შეუსრატებისა ჩუენისა ღირსად თქუმად.

34. რამეთუ უკუეთუ იობ, მართალი იგი, იტყოდა, ვითარმედ: „საგსე ვარ გინებითა“*, ჩუენ რად-მე ვთქუათ, რომელნი უფსკრულნი ვართ ვნებათანი? ყოველითა ცოდვითა და გუამდაბლნა ჩუენ ეშმაკმან და თანა-გუატ ესე ვითარისა ამის დაშდაბლებისა ჩუენისა გულისგმის-ყოფად.

31. ვინადაცა არავინ ტყუის სხუად, თვნიერ მაქებელნი და მნატრელნი ჩუენნი და არავინ იტყვს მართალსა, ვითარ-იგი მამგნი ჩუენნი და შუერაცხმოფელნი, ვითარცა პირველ ვთქუ, და ვერცადათუ მათ იციან ყოველივე მართლიად, რადთამცა იტყოდეს.

32. ხოლო უკუეთუმცა ღირს იქმნნეს ცნობად, არა ვიტყვ პელაგონსა მას და ზღუასა ბოროტთა ჩუენთასა, არამედ მტირე თუმცა რად კერძოდ იხილეს, ივლტო/დესცა იგინი, ვითარცა მწვრისაგან და სიმყარლისა და სულისაგან უკეთურისა სულთაცა ჩუენთა სიხენეშისაგან.

33. და უკუეთუ იქმნენ ყოველნი ასონი ყოველითა კაცთანი ენა, გურწამს, რომელ ვერ გამოიტყვან ღირსებით ჩუენსა უპატიოებასა, რამეთუ ყოველივე ძურისმეტყუელი და მამგებელი კერძოსა რასმე იტყვს და ნაწილსა, ხოლო ყოველისავე ცნობად ვერ მალ-უტ, ვერცა იტყვს.

34. და რამეთუ უკუეთუ იობ მართალი იტყოდა, ვითარმედ: „აღსაგსე ვარ უპატიოებითა“*, ხოლო აღსაგსესა შინა სხუად არღარად ჩაეტევის, ჩუენ რადლა ვთქუათ, რომელნი-ესე ჯურღმულნი ვართ ყოველითა ბოროტთანი? რომელნიცა უბადრუენი ყოველთავე ცოდვათა სიმრავლითა დამამდაბლნა ჩუენ ეშმაკმან და თანა-გუატ ყოველთა ცნობად შემუსრვილებისა და სიმდაბლისა ჩუენისა.

101V

50

E.34. უკუეთუ A.

T. 31. ვინადაცა CF. ტყუვის D. სხუა CF. ჩუენნი იქმნი BCFE. მამგებელნი BCDEF, შუერაცხმოფელნი BCDEF. მართლიად AB. 32. პელაგონსა BCFE. ჩუენთასა/ქემთასა CF. რად/რადმე D. სულისა D. სულთა D. სიხენეშისაგან/სხენეშისა იგი A.

33. იქმნიენ C, იქნენ F. ყოველითა/ომBFE. ძურისმეტყუელი F.

34. ~მართალი იობ BEF. არღარა BCFE. რადღა F. ეშმაკმან/add რამეთუ BDF.

*იობ. 6,2

E

T

102

35. რამეთუ რომელი მეცნიერ იყვნენ თვისა სიგლახაკესა და აბრალებდენ თავთა თვისთა, შეჰმუსრვენ ეშმაკსა, ვითარცა-იგი თქუეს მამათა, ვითარმედ: „შთათუ-ვადეს სიმდაბლე ჯოჯოხეთად, ზეცად აღმაღლდების და აღ-თუ-ვადეს ამპარტავანებად ცადმდე, ჯოჯოხეთად შთავალს.“

5

36. და იტყოდა ნეტარი იგი: „ვინმცა დაარწმუნა ჭეშმარიტსა მდაბალსა ბოროტისა წურთად ვისთვისმე? რამეთუ რადცა მოიწიოს მდაბალსა ზედა, ყოველსავე მიზეზად მოიღებს შეურაცხებად და ბრალობად თავისა თვისისა.“

5

37. და აჯსენებდა მამასა მოსეს, ოდეს განვადეს იგი ეკლესიისა მსახურთა სამღმრეთოთ და ჰრქუეს: „განვედ ამიერ, ჰინდოო შაო“ და იწყო მან თავისა თვისისა კდემად და იტყოდა: „ტყავო ნატრისფერო, პირშავო, კეთილად გიყვეს, ოდეს არცაღა თუ კაცი ხარ რადსა შეხუალ შორის კაცთა?“

5

38. და იტყოდა, ვითარმედ: რადცა მოიწიოს მდაბალსა ზედა, მეყსეულად აღდგის იგი ლოცვად და ყოველთავე ზედავს, ვითარცა კეთილისმოქმედთა.

5

02V

50V

35. და რამეთუ რომელთა იცნან უძღურებად თვისი და სიმდაბლისა მიმართ მიივლტოდინ, შეჰმუსრვენ ეშმაკსა და ვითარცა თქუეს წმიდათა მამათა, ვითარმედ: „უკუეთუ შთავდეს სიმდაბლე ქუესკნელადმდე და ჯოჯოხეთად, ვიდრე ცადმდე ამაღლდების“, და კუალად: „უკუეთუ ამაღლდეს ამპარტავანებად ვიდრეცა ზესკნელადმდე, ვიდრე ჯოჯოხეთადმდე შთავდების“

10

36. და იტყოდა იგი, ვითარმედ: „ვინ არწმუნოს მდაბალსა, ვითარმცა თხზვიდა გულისსიტყუათა ვისთვისცა? და რამეთუ ყოველივე, როდენიცა-რად შეემთხვოს მდაბალსა: გინა ევნოს, ანუ თუ ესმას, ყოველსავე მიზეზად შეიქმს შეურაცხებისა და თავისავე თვისისა კდემულებისა.“

37. და იჯსენებდა იგი მამასა მოსეს და იტყოდა: „ზედავთა, თუ რად ყო, ოდეს იგი მნეთა ეკლესიისათა გამოდევნეს ეკლესიით? და ჰრქუეს მას: „განვედ გარე, ჰინდოო შაო“. ვითარ იწყო ბრალობად თავისა თვისისა და იტყოდა: „ნატრის ტყავო, შაო, კეთილად გიყვეს შენ, ოდესღა კაცი არა ხარ, რადსათვის წარმოსდგები შორის კაცთა?“

38. და იტყვს იგი, ვითარმედ: როდენიცა-რად შეემთხვოს მდაბალსა, მეყსეულად ლოცვად აღდგების და ყოველნივე კაცნი ქველისმოქმედად შეურაცხიან.

E.35. იონენ A, იყუნენ B. 37. ეკლესიის A, B-ში მეორე "ი" ჩამატებულია. 38. მოიწიოს-მესამე "ი" ზემოდან აწერია B. ყოველთავე - მეორე "ვე" ჩამატებულია B.
 T.35. იცნან|იცინან CF. უძღურება CF. მიივლტოდინ CE. ეშმაკთა BEF. ვიდრე|ვ-ი D. ამპარტავანება CEF. ზესკნელთადმდე|ქუესკნელადმდე F. 36. ვითარმცა|რ-მცა BCF. ვისთვისცა|ვისთაცა BEF. რამეთუ|თმBCEF. თუ |თმBCDEF. თავისა E, თაისავე F.
 37. ზედავთა თუ რად ყო|თმF. გამოდევნეს FF. მას|თმCF. გარე|თმBF. შავო BCDF. თვისისა|თმAC. ნატრისა D. ტყავო BDF. შაო BDF. რადსათვის F.
 38. იტყოდა BCDEF. მეყსეულად F. შეურაცხია F.

E

T

39 ხოლო ჩუენ მიდრეკილ ვართ
 გზისა მისგან ჭეშმარიტებისა,
 რომელი ვლეს წმიდათა და
 03 გუნებავეს პონად თავისა ჩუენისა
 გზისა უცხოთა, შემსგავსებულსა 5
 ბოროტთა მათ ნებათა ჩუენთასა.
 40 თუ არა, რად უმჯობეს არს,
 ვითარ სმენად სიტყუსა მის მამისა
 ამონადსა, რომელი იტყუს:
 ეკრძაღე თავსა შენსა კეთილად,
 რადთა რომელსაცა საქმესა ზედა 5
 შეგაწუხოს ვინ, სდუმნე და
 არარად მიუგო, ვიდრემდის
 შინაგანითა ლოცვითა დამშუდდეს
 გული შენი და ესრეთ შეიძინო
 ძმად იგი. 10

41. რამეთუ რომელსა სურინ გზისა
 მისთვის ჭეშმარიტისა ფმისა
 3V შფოთისასა, ამხილებნ თავსა
 თვისსა, ძლიერად აყუედრებნ და
 იტყუს: „რად პბორგ, სულო ჩემო?
 რად, ვითარცა ეშმაკეული,
 პპეროი?“ 5

42. ამით გამოაჩენ სენსა შენსა,
 უკუეთუშტა არა სნეულ იყავ,
 არამცა გელმოდა, რადსათვის
 დაგიტეობიეს ბრალობად თავისა
 თვისსად და ძმასა აბრალებ?
 ამისათვის, რომელ გიჩუენა სენი
 შენი? 10

39. გარნა ჩუენ დაგტეობიეს გზად
 ჭეშმარიტებისად და ძლიერად წმიდათად
 და სხუასა გზასა გუნებავეს შექმნად
 ნებათაებრ ჩუენთა უკეთურთა.

40. უკუეთუ არა, რად უადვილეს არს
 სმენასა კეთილისა მის და საქმით
 გამოცდილისა მოძღურისა მამისა
 ამმონადსა, რომელი იტყუს: დაიცევ
 თავი შენი მტკიცად, რადთა უკუეთუ
 ვინ შეგაწუხოს შენ რასაცა ზედა 5
 საქმესა, სდუმნე სრულიად და
 ყოლადვე არად სთქუა, ვიდრემდის
 ლოცვისა მიერ მოუკლებელისა
 დამშუდდეს გული შენი და გონებად
 და ესრეთღა ემეღრე ძმასა. 10

41. და რამეთუ რომელსა სუროდის
 გზისა მისთვის წრფელისა და
 ჭეშმარიტისა აღძრვასა მას შინა,
 უმეტესადღა სწყლავს თავსა თვისსა და
 პგუემს და მარადის ჰყუედრის და
 ეტყუს: „რადსათვის განლიგებულ ხარ,
 სულო, და განძნებულ და ვითარცა
 განცოფებული, აღმფოთებულ ხარ და
 გულისწყრომისა ლობზნი
 გარდაგეტემიან?“ 10

42. ნანდვლვე თვთ ამით გამოაჩინებ
 ცხადად, რამეთუ სნეულ ხარ. და
 უკუეთუშტა არა სნეულ იყავ, არამცა
 ბეტკივნებოდა, რადსათვის უაჟუ
 დაგიტევიეს ბრალობად თავისად და
 ძმასა შენსა აბრალებ, რომელმან
 გიჩუენა სენი შენი? 5

E.41. იტყუს - B-ში "ნ" ყოფილა და "ს"-დ გადაუსწორებიათ.
 T.39. დაგტევიეს B, დაგვიტევიეს F. გზა ჭეშმარიტებისა F. ძლიერად წმიდათა F. სხუასა AB, სხუას D. გზასა IOM. შექმნა F.
 40. სმენისა CF. მოძღურისა CDF. ამმონადსა B, ამონადსა DCE, ამონისსა F. ვინვინმე CE. რასაცა add ვინ BDE. სდუმნე C. არა CF | არარად BDE. ვიდრემდის | ვითარმედ F. გონება CF.
 41. მისთვის მის BCF. რასათვის CEF. განლიგებულ | განითვებულ A. დამწრამეთუ A. განძნებულ E, A-ში ძველი არ ჩანს, მხედრულით არის ზემოდან დაწერილი. გარდაგეტემიან A, გარდაეტევიან C.
 42. ნანდვლვე F. რასათვის CEF. ბრალობა CF. თავისა CDEF. გუჩუენა F.

E

T

43. საქმით და ჭეშმარიტებით
 ისწავენ მტნებანი ქრისტესნი,
 რომელსა შეურაცხ-ჰყოფდეს და იგი
 104 დუმნა; ჰგუემდეს და არა მიაგებდა.
 არა გესმისა, რასა იტყოდა და
 საქმით აჩუენებდა?

44. „ბეჭნი ჩემნი მივსცენ ცემაღ და
 დაწუნი ჩემნი ყურიძლის-ცემაღ,
 ხოლო პირი ჩემი არა მივიტყოფ
 სირცხლისაგან ნერწყუსა“*.

45. და შენ, უბადრუკო სულო,
 ერთისა გინებისა ანუ
 შეურაცხებისათჳს ჰზი და იწურთი
 ბეკრეულთა გულისსიტყუათა და
 ჰბრძავ თავსა თჳსსა, ვითარცა
 104V ეშმაკისი. რამეთუ რადმცა უყვეს
 უმეტესი ეშმაკთა ესევითარსა მას
 სულსა, ვითარ იგი / აენებს თავსა
 თჳსსა?

46. ეჰა, საკვრველი! ვნებათა
 ქრისტესთა ვიკითხავთ მარადღე,
 როდენ-იგი ევნო მას ჩუენთჳს და
 ჩუენ ყოვლადგემ მოთმინებაჲ ჭირისა
 ანუ შეურაცხებისა რადსამე არა
 5 გუენებაჲს. ჭეშმარიტად მიდრეკილ
 ვართ გზისა მისგან წრფელისა.

47. და იტყოდა, ვითარმედ: უკუეთუ
 ვინ ცხონდეს სოფელსა ამას წელთა
 მათუსალაღსთა და არა ვლოს
 წრფელსა ამას გზისა, რომელ ვლეს
 5 წმიდათა, ესე იგი არს, რადთა
 იგინებოდის და
 შეურაცხიქმნებოდის და
 მოითმენდეს, ვერსადა წარეშართოს,
 არამედ ოდეს დღეთა თჳსთა
 წარჰვდის ამოდ.

43. საქმითცა და სიტყვთ ისწავენ
 უკუე, სულო, მტნებანი ქრისტესნი,
 რომელი-იგი მაგინებელთა არა
 აგინებდა, ევენებოდა და არა
 5 უთქუმიდა. არა გესმისა სიტყუად მისი,
 რომელი აჩუენა საქმით?

44. „ბეჭნი ჩემნი მივსცენ გუემად და
 დაწუნი ჩემნი ყურიძლის-ცემაღ; ხოლო
 პირი ჩემი არა გარემივიტყვი
 სირცხლისა მისგან ნერწყუსისა“*.

45. ხოლო შენ, უბადრუკო და უღებო
 სულო, არცა თუ ერთსა კდემასა და
 ყუედრებასა თავს-იღებ მისსაგან,
 არამედ დაჯდომილ ხარ და
 5 ბეკრეულთა გულისსიტყუათა სწ/მასნი,
 უძრეს აენებ თავსა შენსა უფროდს
 ეშმაკთასა, რამეთუ და რად ავნოს მეტი
 ეშმაკმან სულსა, რაოდენ იგი თჳთ
 აენებს თავსა თჳსსა?

46. აჰა, ესერა ვხედავთ ჯუარსა
 ქრისტესსა და წმიდათა ვნებათა მისთა
 აღმოვიკითხავთ დღითი-დღე, და
 5 როდენი-იგი ევნო ჩუენთჳს, გუესმის,
 ხოლო ჩუენ არცა თუ ერთისა
 კდემულებისა სიტყუასა თავს-ვიღებთ
 ნანდჳლვე, ჭეშმარიტად მიდრეკილ
 ვართ გზისა მისგან წრფელისა და
 საღმრთოდასა.

47. და იტყოდა იგი, ვითარმედ:
 უკუეთუ ცხონდეს კაცი დღეთა
 მათუსალაღსთა და წელთა და არა
 წარვლოს გზად იგი წრფელი, რომელი
 5 ვლეს ყოველთა წმიდათა, ხოლო ვიტყვ
 მე კდემასა და შეურაცხებასა და
 ზღვევასა და სხუასა მას ყოველსავე
 ძრთა შემთხუევასა, ვერ წარეშართოს
 იგი ვერცა დიდად და ვერცა მტირედ,
 10 არამედ ცუდად დღენი ოდენ თჳსნი
 წარჰვდნეს.

E. 46. წრფელისა-თრი "ს" ყოფილა და ერთი წაუშლიათ B.
 T.43. და]omBCF. 44. ჩემნი2] omBF. გარემივიტყო BCDEF. სირცხლისა მისგან]სირცხლისაგან
 BEF. ნერწყუსა F. 45. რად რამეთუ BEF. სულისა F. 46. „ქრისტესსა... აღმოვიკითხავთ“] omBCF.
 როდენნი-იგი E. ივნო CE. ჩუენთჳს]add ქრისტესსა BF (B-ში ჩამატებულია). ერთსა DCF]omE.
 ნანდჳლვე F. 47. ცხონდეს DF. მათუსალაღსთად E]მრაველთა BCF. არა]omA. გზა CF.
 ვლეს]იხილეს C. და]omCDF. წარვადნეს DCF, წარჰვადნეს E.

*სბა. 16.

E

T

48

აგინა ვინმე საყუარელსა ვისმე ჩემსა და არა ერთგვის ოდენ, არამედ მრავალგზისა ბოროტსა იტყუნ მისთვის მრავალთა კაცთა მიმართ. ხოლო მას ესმოდა და ეტკივნა გული და ენება შეწუხებდა მისი, რამეთუ შემძლებელსა იყო.

49. მესმა მე ესე და ვარქუ მას: „რასა იქმ, ძმამო? თავსა თვისსა აენებ, ესე თუ ჰყო, ყოველსა/ვე სათნოებასა სულისა შენისაგან განიოტებ, რამეთუ რად მოგიტომენიეს ჯერეთ ღირსად მისსა, რად-იგი თავს-იდვე ქრისტემან შენთვის? უწყი, ვითარმედ მრავალი საფასე დაგიტომიეს სოფელსა ზინა, არამედ უკუეთუ არა მოიგო სიმშუდე, მსგავს ხარ მჭედელსა, რომელი ჭედნ ღღე ყოველ შანთსა რკინისასა და სახე ჭურჭლისა რაფსავე ვერ გამოქმნის.“

50. და ეტყოდე მას: იტყვს ღმერთშემოსილი ეგნატი: „მიჯმს მე სიმშუდე, რომლისა მიერ დაიჯსნების ყოველივე ძალი / მთავრისა

105V

106

48. და იტყოდა იგი, ვითარმედ: ვიყავ ოდესმე ნეტარსა თანა ღიონჯსიას და ესხედით რად ერთად, სთხოა ვინმე მამან ევლოგად და მისცა მას,

5 რაოდენ ძალ-ედვა. ხოლო ვინაფთგან არა ეგოდენი მიეცა, რაოდენსა იგი ეძიებდა, იწყო მან გინებდად მისა და იტყოდა მისთვის და ჩემთვის ყოვლად უშუერთა სიტყუათა, რომელთა არა ჯერ-არს წსენებდად მიტემადა. ესმა რად ესე ღირსსა მას დედაკაცსა, შეწუხნა ფრიად და ეძიებდა ბოროტის-ყოფად მისა.

49. ხოლო მე, ვისწავე რად ესე, ვარქუ მას: „რასა იქმ აშას და მტერ ექმნები თავსა შენსა და ყოველსავე სათნოებასა მოსძრკვ სულისაგან შენისა? რასა უკუე დაუთმენ ღირსსა, რომელ-იგი ქრისტემან დაითმინა შენთვის? ვიცი, რამეთუ განგიბნევიან საფასენი, ვითარცა ნაგეენი, ხოლო უკუეთუ არა მოიგო სიმშუდე, მსგავს იყო შენ ძუნსა შანთსა რკინისასა, რომელსა სცემს მჭედელი ფრიად, ხოლო ჭურჭელსა ვერ შეიქმნ მისგან.“

50. და ეტყოდა მას ამასცა, ვითარმედ: იტყვს წმიდად ეგნატი ღმერთშემოსილი, ვითარმედ: „მიჯმს უპირატეს ყოვლისა

51V

E.49. დაგიტევიბეს B. გამოქნის B.

T.48. დეონოსიას B, დიონჯსიოს CE, დონოსას D, დეონოსას F. ერთადერთგან BCDEF. სთხოვა F.

ვინმე]om F. ევლოვა F. რაოდენი DE. "რაოდენ... მიეცა"]omBCF. ეძებდა F. მისსა1 BDF.

იტყოდა]add იგი CDF. უშუერთა F. მისსა2BDF]მისდა CE. 49. მოსძურკვ B, მოსძრკვი CEF.

შენისა]omA. ძუნსა CE. შანთსა]omA. შეიქმს CDE.

E

T

მის სოფლისმპყრობელისა ამის 5 ბნელისა."

51. რამეთუ სასწაული სოფლისა დატეობისად ესე არს, რადთა კაცი არღარა აღიპრვოდის. რამეთუ არს კაცი, რომელმან შეურაცხ-ყენის მრავალნი კენტინარნი საფასეთანი და მოვიდის მონაზონებად. და მოჰვდის, რომელ სიყუარულიათჳს ერთისა ნემსისა აღშოთნის და კმნის ერთმან მან ნემსმან აღგილი კენტინარისად და იქმნის მონა ნემსისა ერთისა, ანუ სამოსლისა ერთისა, ანუ წიგნისა ერთისა, ანუ თუ სხჳსა რადსამე ვნებათაგანისა და არა მონა ღმრთისა.

52. კეთილად უკუე თქუა ბერმან ვინმე, ვითარმედ: "რაოდენნიცა ვნებანი იყვენ სულისანი, ეგოდენნიცა უფალნი არიან"* და კულად მოცაქულო, ვითარმედ: "რომლისაგანცა ვინ ძლეულ არს, მისდაცა დამონებულ არს."* ხოლო მას ესმენს რად სიტყუანი ესე, მრქუა მე: "გაიოვნესმცა ღმერთი, რომლისათჳსცა გსურის. რამეთუ დიდად სარგებელ შეყავ."

53. და იტყოდა, ნეტარი იგი: სულსა მნებავეს ცხოვრებისა მის საუკუნოდასა მიმთხუვად, გარნა სურვილი ვნებათად მიიზიდავს და მათითა სიყუარულითა ივლტის ჭირთაგან

სიმშუდმ, რომელი-იგი დაჰქსნის ყოველსავე ძალსა მთავრისა მის ამის სოფლისასა და განაქარეებს."

51. სასწაული უკუე მონაზონისად, ვითარმედ დაუტეობიეს სოფელი, არს ურისხველობად და რადთა ყოველადვე არა აღშოთნებოდის. და რამეთუ არს კაცი, რომელი დაუტეობს მრავალსა ტალანტსა და ერთისათჳს ნემსისა განრისხნების და სიყუარულითა მით ნემსისადათა აღშოთნების და დაიპყრობს აღგილსა სრულისა

10 ტალანტისა კენდინარისასა ნემსი იგი უნდოვ და იქმნების კაცი იგი მონა ნემსისა, ანუ კუნკულისა, ანუ წიგნისა, ანუ სხჳსა რადსამე ნივთისა ქუყანიერისა, ვინაჲცა არღარა არს იგი მერითგან მონა ღმრთისა.

52. და კეთილად თქუა ვინმე ბრძენთაგანმან, ვითარმედ: "რაოდენნიცა არიან ვნებანი სულისანი, ეგოდენნიცა არიან უფალნი მისნი და პატრონნი."* და კულად მოცაქული იტყუს: "რომლისაგანცა ვინ ძლეულ არს, მისდაცა დამონებულ არს."* ესმა რად ესე ღირსსა მას დუდაკაცსა, დაუკვრლა, მომხედა მე და მრქუა: "გაიოვნესმცა ღმერთი, რომლისა გსურის."

53. და იტყოდა ნეტარი იგი, ვითარმედ: სულსა მნებავეს ცხოვრების, გარნა უყუარს ამაოებაცა ესე საწუთროდას და შუებათათჳს მოცალე არს, ხოლო ჭირთა

06V

107

